

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2023 წლის 29 სექტემბერი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის №21 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის №21 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 05/12/2022, 190020020.35.144.016416) და დადგენილების დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1- ით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ შუბითიძე

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი

თავი I

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ლარში

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
შემოსავლები	23 517 779,02	27 330 291,16	29 637 790.00
გადასახადები	13 219 372,04	16 676 913,93	18 121 000.00
გრანტები	8 364 670,77	8 458 014,96	9 332 863.80
სხვა შემოსავლები	1 933 736,21	2 195 362,27	1 962 500.00
ხარჯები	9 511 046,88	12 514 141,21	15 577 946.00
შრომის ანაზღაურება	1 755 661,96	2 383 273,05	3 145 000.00
საქონელი და მომსახურება	962 273,15	1 455 585,80	1 705 750.00



პროცენტი	25 585,00	24 513,00	30 000.00
სუბსიდიები	5 631 958,21	6 849 319,32	8 937 402.00
გრანტები	54 100,00	127 615,00	187 694.00
სოციალური უზრუნველყოფა	773 228,94	1 116 008,66	1 074 500.00
სხვა ხარჯები	308 239,62	557 826,38	497 600.00
საოპერაციო სალდო	14 006 732,14	14 816 149,95	13 838 417.80
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 515 254,40	14 018 033,26	18 257 901.80
ზრდა	14 072 038,37	14 389 599,50	18 479 328.00
კლება	556 783,97	371 566,24	221 426.20
მთლიანი სალდო	491 477,41	798 116,69	-4 419 484.00
ფინანსური აქტივების ცვლილება	442 001,74	748 640,7	-4 487 484.00
ზრდა	445 802,87	748 640,7	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	445 802,87	748 640,7	0,0
კლება	3 801,13	0,0	4 487 484.00
ვალუტა და დეპოზიტები	3 801,13	0,0	4 487 484.00
ვალდებულებების ცვლილება	-49 476,00	-49 476,00	-68 000,00
კლება	49 476,00	49 476,0	68 000,00
საშინაო	49 476,00	49 476,0	68 000,00
ბალანსი	0,0	0,0	0,00

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
შემოსულობები	24 074 562,99	27 701 857,40	29 637 790.00
შემოსავლები	23 517 779,02	27 330 291,16	29 416 363.80
არაფინანსური აქტივების კლება	556 783,97	371 566,24	221 426.20
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	23 632 561,25	26 953 216,71	34 125 274.00



ხარჯები	9 511 046,88	12 514 141,21	15 577 946,00
არაფინანსური აქტივების ზრდა	14 072 038,37	14 389 599,50	18 479 328,00
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე)	0	0	0
ვალდებულებების კლება	49 476,00	49 476,00	68 000
ნაშთის ცვლილება	442 001,74	748 640,7	-4 487 484,00

მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 29 416 363.80 ლარის ოდენობით:

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
შემოსავლები	23 517 779,02	27 330 291,16	29 416 363.80
გადასახადები	13 219 372,04	16 676 913,93	18 121 000.0
გრანტები	8 364 670,77	8 458 014,96	9 332 863.80
სხვა შემოსავლები	1 933 736,21	2 195 362,27	1 962 500.00

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 18 121 000.0 ლარის ოდენობით:

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
გადასახადები	13 219 372,04	16 676 913,93	18 121 000.0
ქონების გადასახადი	1 425 578,13	1 808 441,22	1 600 000.00
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	889 433,65	1 209 673,14	1 200 000.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,00	0,00	0,00
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7 948,53	16 982,46	0,00
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	288 003,86	325 674,88	200 000,0
ფიზიკურ პირებიდან	254 081,69	261 652,76	170 000,0
იურიდიულ პირებიდან	33 922,17	64 022,12	30 000,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	240 192,09	256 110,74	200 000,0
ფიზიკურ პირებიდან	43 901,03	47 496,49	20 000,0
იურიდიულ პირებიდან	196 291,06	208 614,25	180 000.0



დამატებითი ღირებულების გადასახადი	11 793 793.91	14 868 472,71	16 521 000.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7 610 611.80 ლარის ოდენობით

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
გრანტები	8 364 670,77	8 458 014,96	9 332 863.80
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მოღებული გრანტები	8 364 670,77	8 458 014,96	9 332 863.80
მიმდინარე	376 500.13	767 010,69	1 000 832.80
მიზნობრივი ტრანსფერი	376 500.13	767 010,69	1 000 832.80
კაპიტალური	7 988 170.64	7 691 004,27	8 332 031.00
კაპიტალური ტრანსფერი	7 988 170.64	7 491 004,27	7 882 031.00
სხვა კაპიტალური განტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		200 000.00	450 000,00

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 962 500.00 ლარის ოდენობით:

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
სხვა შემოსავლები	1 933 736,21	2 195 362,27	1 962 500.00
შემოსავლები საკუთრებიდან	370 621.20	399 427,24	327 000.0
პროცენტები	133 397,25	225 862,98	157 000.0
რენტა	237 223,95	173 564,26	170 000.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	205 893,17	141 152,50	110 000.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	31 330,78	32 411,76	60 000,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	160 025,17	232 730,82	245 000.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	142 079,72	215 505,82	230 000.0
სანებართვო მოსაკრებელი	20 878,05	19 140,89	30 000.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	121 201,67	196 364,93	200 000.0



არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევ. გაყიდვები	17 945,45	17 225,00	15 000.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	17 945,45	17 225,00	15 000.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 251 715,71	1 480 956,33	1 310 000.0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	151 374,13	82 247,88	80 500.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები თანდართული რედაქციით:

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
ხარჯები	9 511 046.88	12 514 141,21	15 577 946.00
შრომის ანაზღაურება	1 755 661.96	2 383 273,05	3 145 000.0
საქონელი და მომსახურება	962 273.15	1 455 585,80	1 705 750.0
პროცენტი	25 858.00	24 513,00	30 000.0
სუბსიდიები	5 631 958.21	6 849 319,32	8 937 402.0
გრანტები	54 100.00	127 615,00	187 694.0
სოციალური უზრუნველყოფა	773 228.94	1 116 008,66	1 074 500.0
სხვა ხარჯები	308 239.62	557 826,38	497 600.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 18 257 901.80 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 18 479 328.00 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ლარი

კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2 806.00	169 669,90	292 019.00
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9 947 296.36	11 266 825,34	15 118 022.61
	დასუფთავება და	22	166	



03 00	გარემოს დაცვა	912.00	887,20	1 396 660.00
04 00	განათლება	660 309.46	352 743,22	336 875.99
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 438 714.55	2 433 473,84	1 333 550.40
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	2 200,0
სულ ჯამი		14 072 038.37	14 389 559,50	18 479 328.00

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 221 426.20 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ლარი

დასახელება	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	556 783.97	371 566,24	221 426.20
ძირითადი აქტივები	169 691.61	172 703,00	168 426.20
შენიშნული ნაგებობები	169 691.61	172 703,00	168 426.20
არაწარმოებული აქტივები	387 092.36	198 863,24	53 000.0
მიწა	387 092.36	198 863,24	53 000.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ლარი

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
		სულ	სულ	სულ
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 297 655,1	3 424 082,4	4 414 530,2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 272 070,1	3 399 569,4	4 374 530,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 272 070,1	3 399 569,4	4 334 530,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	40 000,0



7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	25 585,0	24 513,0	30 000,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	10 000,0
702	თავდაცვა	105 685,8	149 738,6	248 000,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	9 146 269,4	9 378 523,6	12 403 003,9
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	336 019,6	624 664,6	336 372,0
70421	სოფლის მეურნეობა	336 019,6	624 664,6	336 372,0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	398 742,6	306 550,3	416 927,0
70443	მშენებლობა	398 742,6	306 550,3	416 927,0
7045	ტრანსპორტი	7 424 240,4	7 490 643,8	10 064 390,2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7 424 240,4	7 490 643,8	10 064 390,2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	987 266,8	956 664,9	1 585 314,7
705	გარემოს დაცვა	1 535 184,6	1 863 752,8	3 377 032,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	1 269 998,6	1 485 530,1	2 954 032,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	265 186,0	378 222,8	423 000,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 715 290,6	3 080 542,3	3 946 018,7
7063	წყალმომარაგება	374 644,0	1 454 486,2	2 013 219,7
7064	გარე განათება	673 863,3	755 281,6	1 230 799,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	666 783,3	870 774,5	702 000,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	95 090,0	107 250,6	150 000,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	95 090,0	107 250,6	150 000,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 841 911,7	4 260 984,7	3 906 580,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4 027 319,4	3 342 655,2	2 785 580,4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	685 626,2	761 793,6	935 000,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	17 145,9	18 675,0	21 000,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	111 820,1	137 861,0	165 000,0
709	განათლება	3 007 167,8	3 463 329,8	4 488 908,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 708 133,7	2 840 863,4	3 885 899,0
7092	ზოგადი განათლება	275 744,1	622 466,4	603 009,8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	275 744,1	622 466,4	603 009,8



7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	23 290,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	838 830,3	1 175 535,9	1 123 200,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	581 308,9	832 318,7	773 900,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	548 308,9	799 318,7	755 900,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	33 000,0	33 000,0	18 000,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	69 788,0	85 500,0	92 000,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	27 000,0	28 000,0	30 000,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	103 800,0	96 400,0	115 600,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	56 933,4	133 317,2	111 700,0
	სულ	23 583 085,3	26 903 740,7	34 057 274,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
საოპერაციო სალდო	14 006 732.14	14 816 149,95	13 838 417.80
მთლიანი სალდო	491 477.74	798 116,69	-4 419 484.00

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ლარი

დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	442 001.74	748 640,70	-4 487 484.00
ზრდა	445 802.87	748 640,70	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	445 802.87	748 640,70	0.0
კლება	3 801.13	0,00	4 487 484.00
ვალუტა და დეპოზიტი	3 801.13	0,00	4 487 484.00

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება



	დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
	ვალდებულებების ცვლილება	-49 476.00	-49 476,00	-68 000
	ზრდა	0.0	0.0	0
	საშინაო	0.0	49 476,00	0
	კლება	49 476.00	49 476,00	68 000
	საშინაო	49 476.00	49 476,00	68 000

მუხლი 13. სასეხო ვალდებულებები

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქარელის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები შეადგენდა 222 646 ლარს, ხოლო 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იქნება 173 170 ლარი.

თავი II

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროგრამები და 2023-2026 წლების პრიორიტეტები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა

ლარი

	დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	608 908.68	823 539,53	1 042 072.0
	ხარჯები	608 908.68	819 689,53	960 100.0
	შრომის ანაზღაურება	448 892.38	660 625,95	750 000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00	3 850,00	81 972.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1 663 161.46	2 576 029,91	3 292 458.20
	ხარჯები	1 660 355.46	2 410 210,01	3 127 411.20
	შრომის ანაზღაურება	1 227 991.78	1 609 578,38	2 240 000.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 806.00	165 819,90	165 047.00
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	105 685.77	149 738,64	248 000.0
	ხარჯები	105 685.77	149 738,64	203 000.0
	შრომის ანაზღაურება	78 777.80	113 068,72	155 000.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0,00	45 000.0
--	-----------------------------	------	------	----------

01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები

ლარი

	დასახელება	2021 წ ფაქტი	2022 წ ფაქტი	2023 წ გეგმა
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.00	0,00	40 000.0
	ხარჯები	0.00	0,00	40 000.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,00	0,00	10 000.0
	ხარჯები	0,00	0,00	10 000.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	75 061.00	73 989,00	98 000.0
	ხარჯები	25 585.00	24 513,00	30 000.0
	ვალდებულებების კლება	49 476.00	49 476,00	68 000.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 03
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახური
დაფინანსება	98 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით შევიძინეთ სპეც მანქანა. აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 346 336 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 171 255 ლარს. 2023 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის 98 ათ. ლარის დაფარვა.
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დაფარული სასესხო ვალდებულება

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო



ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ლარში

	დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 861 560,01	12 453 794,16	16 326 022.61

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 01
პროგრამის დასახელება:	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	9 844 390.19 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, მოსახლეობა მოძრაობდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეიქმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე. სოფლები ერთმანეთს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2023 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა: ძლევიჯვარში, კოდავარდისუბანში, ქვენატკოცაში, აგარაში, რუისში, ქობესაანთუბანში, ბებნისში, ქვემო ხვედურეთში, დირბში გზის რეაბილიტაცია მშენებლობა, საციხური აბანო კოდის გზის რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების დანართი 56 განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 719 779.00 ლარი. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის #301 განკარგულების დანართი 28 განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი. საქართველოს მთავრობის #1530 (22.08.2023 წ) განკარგულების დანართი #56-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად მოხდა 1550000 ლარით გაზრდა. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს და რომლის თანხა შეადგენს 290487,19 ლარს.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 02
-------------------------------	----------



პროგრამის დასახელება:	შიდა გზების მოვლა პატრონობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	220 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული საავტომობილო გზების ნაწილის შეკეთება (მოხრეშვა-მოშანდაკება). დაზიანებული და შესაკეთებელი გზები პრობლემას წარმოადგენს ფეხით მოსიარულეთათვის, ხელი ეშვება ტვირთის გადატანას, მოსახლეობის გადაადგილებას, ტურიზმის განვითარებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების საფარის მოწესრიგება 25 000 მ2 ფართობზე და სხვა სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01
პროგრამის დასახელება:	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია.
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	2 013 219,68 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ჯერ კიდევ დარჩენილი სოფლების სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების პრობლემის მოგვარება. პროგრამის ფარგლებში იგეგმება რეგ. ფონდიდან გამოყოფილი თანხითა და ადგილობრივი ბიუჯეტის 5% თანადაფინანსებით, ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების მომსახურების ხარისხის და დაფარვის არეალის გაუმჯობესება, წყალმომარაგების მომსახურების ეფექტური მიწოდება. კერძოდ, იგეგმება: სოფლებში: აფნისი, ჭანდრები, ზ.ხვეუდერთი (ეკალაძეანთუბანში) სასმელი წყლის პროექტების განხორციელება. სოფელ აბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა სოფელ ბერძენაულში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა სოფელ ფცაში ჭაბურღილის მოწყობა. ჩატარდება სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლებში: ხეობაში, მოხისში და სხვა. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს
	სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა,



მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა.
--------------------	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 03
პროგრამის დასახელება:	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	313 372,00 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: რწყვის პერიოდში ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის მიერ სარწყავი წყლის არხებით შეუფერხებლად სარგებლობა. მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ქარელი,რუისის,ხვედურეთი,სასირეთი,კეხიჯვარი,სანებელი,ვედრება, ავლევი, მოხისი, ქ.მაქშაქეთი) სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია. ასევე მოეწყობა სარწყავ-სანიაღვრე არხები შემდეგ სოფლებში: დირბი, ურბნისი, აბისისთავი და სხვა. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული სარწყავ-სანიაღვრე არხები, შეუფერხებლად მოქმედი სარწყავი სისტემა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 01
პროგრამის დასახელება:	გარე განათების მშენებლობა, რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	473 799.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციურ ერთეულში გამართული გარე განათების სისტემის არსებობა. მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. გარე განათების სისტემა მოეწყობა ქვენატკოცასა და ძლევიჯვარში, ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, იქ სადაც დარჩენილია გარკვეული უბნები გარე განათების გარეშე. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს. დაგეგმილია ამწე კალათის შესყიდვა.
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ქუჩები, უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 02
-------------------------------	----------



პროგრამის დასახელება:	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	757 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის, ლამპიონების მოვლა-პატრონობა. ლონისძიების ფარგლებში მოხდება გარე განათების ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა, დამწვარ-დაზიანებული ნათურების შეცვლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება გარე განათების ელექტრო ენერგიის ღირებულება
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების გამართული მუშაობა და ელექტრო ენერგიის საფასურის დაფარვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 04
პროგრამის დასახელება:	შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	167 000 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, შემდეგი ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების განხორციელება : ქარელი, ბეზნისი, კეხიჯვარი,მოხისი, ბრემა, დვანი, დირბი, ბრეთის მეურნეობა , აგარა, ზემო ხვედურეთი და ზღუდერი და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ადმინისტრაციული შენობები. კმაყოფილი მოსახლეობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05
პროგრამის დასახელება:	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	236 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამიის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებებს.



	ასევე მოხდება 2021 წლის ვალდებულების ანაზღაურება
მოსალოდნელი შედეგი	ბინათმესაკუთრეთა ძლიერი ამხანაგობები, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, პრობლემების გადაჭრაში ჩართული მოსახლეობა, რეაბილიტირებული შენობები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	299 000,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ: ქარელში ორი (ერთი ახლის მშენებლობა და ერთის რეაბილიტაცია, რუსში, ბეზნისში და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი სივრცე, კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 07
პროგრამის დასახელება:	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	416 927,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: პროექტების განხორციელების ზედამხედველობა, ახალი პროექტების შეძენა. პროგრამის ფარგლებში მოხდება მიმდინარე პროექტების ზედამხედველობა და შეძენილი იქნება ახალი პროექტები სამომავლო დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს. გაიზარდა პროგრამა 2023-2024 წლების „საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესასყიდად“.
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შეძენილი პროექტები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 08
პროგრამის დასახელება:	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური



	განვითარების სამსახური
დაფინანსება	1 585 314,74 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2476 განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 940 000 ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. თანადაფინანსება შეადგენს 492 000 პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს და რომლის თანხა შეადგენს 179 314,74 ლარს.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული პირობებით კმაყოფილი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა და დასუფთავება, მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემების და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება. ასევე იმ სასმელი წლის ჭაბურღილების ელექტრო ენერგიის გადასახადის დაფარვა, რომლებითაც სარგებლობს სოფლების მოსახლეობა.

ლარი

	დასახელება	2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 535 184,63	1 863 752,83	3 377 032,00

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01
პროგრამის დასახელება:	კაპიტალური დაზანდება დასუფთავების სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1 350 032.0 ლარი
	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის დასუფთავების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებას



პროგრამის მიზანი და აღწერა	ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვაზე. შეძენილი იქნება 200 ცალი ნაგვის ურნა, რომელიც განთავსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს. დაგეგმილია 2 ნაგავშხიდის შესყიდვა. მთავრობის #1640 განკარგულებით (პირველი ეტაპით გამოყოფილი 172525 ლ) და ადგილობრივი შემოსავლებით დაგეგმილია 3 ნაგავშხიდი მანქანის შეძენა
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული გარემო, კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 02
პროგრამის დასახელება:	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	1 604 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში ქ. ქარელში და დაბა აგარაში განხორციელდება ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, სანიაღვრეების გაწმენდა, ნარჩენების გატანა: ქ. ქარელის, დ. აგარის და სოფლების: ქვენატკოცის, ბებნისის, ლეთეთის, ქვემო ხვედურეთის, ზემო ხვედურეთის, კეხიჯვრის, ქობესაანთ უბნის, თათანაანთუბნის, სამწევრისის, ვედრების, სანებლის, რუისის, ურბნისის, ბრეთის, სალოლაშენის, არადეთის, წვერის, სასირეთის, ბრეთის მეურნეობის, ძლევიჯვრის, ყინწვისის, ზღუდრის, მოხისის, ახალსოფლის, დირბის, დვანის, ტახტიძის, ფცის, თამარაშენის, ქვემო შაქშაქეთის, აბისის, აბისისთავის, ბერძენაულის, ავლევის, ცერონისის, კნოლევის, ბრეძის, ატოცის, გულიკაანთ უბნის, ღვლევის, ქვენაფლავის, ჭანდრების, ხეობის, სუქაანთ უბნის, ორთუბნის, ელბაქაანთ კარის, კოდავარდისუბნის, ზემო შაქშაქეთის, საციხურის, კოდის, ღოღეთის, ჭვრინისის, აბანოს, სოფელ ახალსოფლის, აფნისის, გვერძინეთის, კრობანის და სოფელ მოხისის დევნილთა ჩასახლების მოსახლეობიდან და ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან და განხორციელდება სხვა ღონისძიებები
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 03
-------------------------------	-------



პროგრამის დასახელება:	მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემისა და შადრევანების მოვლა-პატრონობა, განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი“
დაფინანსება	423 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა, სასმელი წყლის სისტემის და შადრევანის მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი ხეების გადაბეღვა, მოჭრა. განხორციელდება ხე-მცენარეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. შადრევანების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების და სხვა საჯარო ადგილების მოვლა-პატრონობა. ასევე სოფლებში წყლის სისტემის ტექნიკური (ტუმბოების შეკეთება განახლება) უზრუნველყოფა და იმ სასმელი წლის ჭაბურღილის ელექტრო ნერგის გადასახადის გადახდა, რომლებითაც სარგებლობს სოფლების მოსახლეობა.
მოსალოდნელი შედეგი	გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო, სასმელი წყლის სისტემისა და შადრევანების გამართული ფუნქციონირება.

განათლება

(პროგრამული კოდი 04 00)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელებისათვის სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, მოხდება ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ლარში

		2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
04 00	განათლება	3 007 167,75	3 463 329,76	4 404 908,79

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	296 699.0 ლარი
	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მოქმედ 24 საბავშვო ბაღში არსებული



პროგრამის მიზანი და აღწერა	მდგომარეობის გაუმჯობესება. ბავშვთა რაოდენობის გაზრდის გამო, ქარელში იგეგმება ახალი საბავშვო ბაღის (ოთხ ჯგუფიანი) აშენება , ასევე ახალი შენობის აშენება იგეგმება რუისში , ურბნისში და დვანში , არსებული ბაღების აღსაზრდელები გადანაწილდებიან ახალ შენობებში. ასევე სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდება შემდეგ საბავშვო ბაღებს: აბანო, ქვემო ხვედურეთი,ქვენატკოცა,მოხისი,ბრეთი, რუისის #2, რუისის #3 , კეხიჯვარი და ბრეთის მეურნეობა. იგეგმება სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღებისთვის სათამაშოების შეძენა.
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტის შესაბამისი საბავშვო ბაღები, რომლითაც ისარგებლებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ სკოლამდელი სააღმზადდლო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება“
დაფინანსება	3 589 200.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში სულ 1500 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 24 საბავშვო ბაღი, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ "სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზადდლო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალიტეტის გაერთიანება". სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 351 თანამშრომელი, მათ შორის 68 აღმზრდელი და 68 თანამემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელი პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს



	მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა ღონისძიებები. პროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების თანამშრომლებისთვის 100 ლარის მატებას.
მოსალოდნელი შედეგი	ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, შესაფერისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სტანდარტების შესაბამისი გარემო.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 04
პროგრამის დასახელება:	სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	603 009,79 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამით გათვალისწინებულია 2023 წელს მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებული ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის გაუმჯობესებული



კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

(პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პრობლემების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

ლარი

		2021 წ. ფაქტი	2022 წ. ფაქტი	2023 წ. გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.	4 841 911.69	4 266 256.47	3 929 580.40

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
პროგრამის დასახელება:	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1 313 580.40 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. დაგეგმილია სპორტული მოედნის მშენებლობა-რეაბილიტაცია: ჭვრინისში, ქვენატკოცაში, ბერძენაულში, დირბში და ქარელში ორი სპორტული მოედანი და სხვა ღონისძიებები. პროგრამა გაიზარდა ქარელის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი განტებით, რომლებიც მიიმართება ქარელში სტადიონის ნაწილობრივი რეაბილიტაციისთვის. პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2022 წელს.
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 02
პროგრამის დასახელება:	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
	ა(ა)იპ „ქარელის



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	812 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში სპორტული მიმართულებით სწავლების გაძლიერება, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარება, წარმატებული სპორტსმენების წარმოჩენა და სპორტის სახეობების პოპულარიზაცია. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობების სწავლებები: ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის (ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა), კიკბოქსინგის, ჯიუ-ჯიცუს, MMA შერეული ორთაბრძოლების, ხელბურთის, ფრენბურთის მიმართულებით. დააფინანსდება ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებები და ტურნირები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით და ჩატარდება სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული სპორტსმენების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 03
პროგრამის დასახელება:	საცურაო აუზის მოვლა პატრონობა



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	500 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი საცურაო აუზით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. პროგრამის ფარგლებში მოხდება საცურაო აუზის მოვლა პატრონობის ხარჯების და გადასახადების გადახდა
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 04
პროგრამის დასახელება:	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	160 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ფეხბურთის პოპულარიზაცია და აქტიურ სპორტულ



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02
პროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	30 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის ზრდას, სახელოვნებო განათლების განვითარებას.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 03
პროგრამის დასახელება:	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	450 000.00 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში სახელოვნებო განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტში სამი სახელოვნებო სკოლა - ქარელის ხელოვნების სკოლა (ბრეთის მუსიკალური განყოფილებით), ნაწული ღამბაშიძის სახელობის აგარის ხელოვნების სკოლა და რუისის ხელოვნების სკოლა. ხელოვნების სკოლებში სულ დასაქმებულია 69 თანამშრომელი, ხელოვნების სკოლებში ბავშვთა რაოდენობა 655-მდე მოსწავლეს შეადგენს; სკოლები ხელს უწყობენ წარმატებულ მოსწავლეებს და უზრუნველყოფენ მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში; წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები სახელოვნებო მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სახელოვნებო სკოლების მოსწავლეები. ხელოვნების სკოლებში ბავშვები სწავლობენ კლასიკურ და ხალხურ მუსიკას; ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას; სოლფეჯიოს, მუს-ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნების ისტორიას. მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, აგრეთვე ადგილობრივ ღონისძიებებში. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში 75 ერთეულით გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა ხელოვნების სკოლებში.
	მოსახლეობისათვის მიმზიდველი სახელოვნებო



მოსალოდნელი შედეგი	საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, ხელოვნების პოპულარიზაცია, მოსახლეობის ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა.
--------------------	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04
პროგრამის დასახელება:	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	56 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, წიგნადი ფონდის განახლება და წიგნის პოპულარიზაცია. ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკა ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნების და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ერთერთი განყოფილებაა, ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაშიგანხორციელდება სხვადასხვა პროექტები: ერთად კითხვის საღამოები, ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები.განახლდება წიგნადი ფონდი და მოეწყობა სხვასხვა ღონისძიებები წიგნის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05
პროგრამის დასახელება:	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	200 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში. კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას განახორციელებს სხვადასხვა წრეების და შემოქმედებითი ჯგუფების საშუალებით; ქარელის მუნიციპალიტეტში ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს: მამაკაცთა ანსამბლი „ქარელი“ - 15 მამაკაცის შემადგენლობით, ხალხური საკრავების წრე (დოლი), ხალხური საკრავების წრე (ფანდური, სალამური), ბავშვთა დრამატული წრე, თოჯინების თეატრი, სამეჯლისო ცეკვები, ქორეოგრაფიული ანსამბლები „იბერიელები“ და „ქარელი“, დრამატული წრე, მოყვარულთა თეატრი, რომლის მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ თავად კულტურის სახლის შემოქმედებითი ჯგუფები. კულტურის ცენტრში შემოქმედებით სახელოვნებო განათლებას ღებულობს და მიიღებს 500- ზე მეტი მოსწავლე. წრეები და გუნდები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ, რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში. 2023 წელში გაგრძელდება ქართული ხალხური სიმღერის და ქართული გალობის შემსწავლელი წრეები;



მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა, კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრებით დაინტერესება.
--------------------	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
პროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	43 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებება, რომელშიც დაცულია 3000 ექსპონატი. იგი იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 3000 ერთეულს. პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება ინვენტარი და ტექნიკა საკონფერენციო დარბაზისათვის (მაგიდა, სკამები, კომპიუტერები, პროექტორი, პროექტორის ფარდა, წყლის დისპენსერი), მოეწყობა სტელაჟები და თაროები ექსპონატებისათვის, მოლბერტები საგამოფენო სივრცისათვის, მოეწყობა ჩვენებები, შემოქმედებითი საღამოები, ისტორიის ვიქტორინები, კონფერენციები, წიგნის მკითხველთა კლუბი, მოხდება ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებსა და ზოგადად თვითმმართველობის ცხოვრებაში.
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და მოსახლეობის დაინტერესების ზრდა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 07
პროგრამის დასახელება:	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	52 000 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქართული ხალხური მრავალხმოვანი სიმღერების პოპულარიზაცია. ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მამაკაცთა ფოლკლორული გუნდი - „ქარელი“- 15 მამაკაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში, რითაც პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ ხალხურ მრავალხმოვან სიმღერას ქარელის მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.
მოსალოდნელი შედეგი	ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 08
პროგრამის დასახელება:	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	104 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ ადმინისტრაცია შედგება 7 თანამშრომლისგან, რომლების მართვენ და ორგანიზებას უწევენ გაერთიანებაში შემავალი ფილიალების საქმიანობას და მათ ფუნქციონირებას. გაერთიანებას, გამართულად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება დასაქმებულთა შრომის, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფარვა მოხდება ასიგნებების ფარგლებში.
მოსალოდნელი შედეგი	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირება და განყოფილებების საქმიანობის ორგანიზება, მართვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 09
პროგრამის დასახელება:	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	21 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობის ინფორმირებულობა, დაინტერესების ზრდა, ცნობადობის ამაღლება და ჩართულობის გაზრდა. საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით დასაქმებულია 3 თანამშრომელი და წლის განმავლობაში გამოიცემა მუნიციპალური გამოცემა „ქარელის მოამბის“ 18 000 ეგზემპლარი. აღნიშნულ გაზეთში შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და სხვა სიახლეები, ასევე მოსახლეობის პრობლემები და მიღებული სამართლებრივი აქტები. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში
მოსალოდნელი შედეგი	ინფორმირებული და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 10
პროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	90 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის, ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარება, რითაც ხელი შეეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პოლიგრამი ტურისტების გაზრდილი რაოდენობა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 11
პროგრამის დასახელება:	ტურიზმის განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	23 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ტურიზმის საინფორმაციო ცენტრმა, რომლის მიზანია, საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტების სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის შესახებ, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ ტურისტებისთვის შეთავაზებული პროდუქტი იქნება: ინფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული დანიშნულების ობიექტების შესახებ, როგორცაა: განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის განრიგი, მუზეუმები, გალერეები, ღვინის საწარმოები, ღვინის მარნები, ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საკურორტო ადგილებისა და სხვათა შესახებ, ტურისტების ინტერესებიდან გამომდინარე, ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ტურის დაგეგმვაში დახმარება, ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ფესტივალების შესახებ (ეროვნული, კულტურული, გასართობი, სპორტული და სხვა); ბეჭდვითი მასალის გავრცელება (რეგიონისა და ქალაქის რუკები, ბროშურები, გზამკვლელები და სხვა). საინფორმაციო ცენტრში წარმოდგენილი იქნება სუვენირები და ადგილობრივი წარმოების პროდუქცია (წარმოებული ღვინო, ნატურალური თაფლი, ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა პროდუქცია, ქარელის ღირსშესანიშნაობების აღმნიშვნელი სუვენირები).
მოსალოდნელი შედეგი	განვითარებული ტურიზმი, პოპულარიზებული მუნიციპალიტეტი, კმაყოფილი მოსახლეობა და ადგილობრივი მეწარმეები



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“
დაფინანსება	75 000 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინიციატივები.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ლარი

		2021 წელი ფაქტი	2022 წელი ფაქტი	2023 წელი გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	933 920,26	1 282 786,41	1 273 200.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ "ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"
დაფინანსება	150 000.0 ლარი
	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის



	(EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.
პროგრამის მიზანი და აღწერა	აღნიშნული პროგრამა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული დელეგირებული ფუნქცია, რომლისათვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი ტრანსფერი. პროგრამა მოიცავს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვებას და წარდგენას დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენას და პროფილაქტიკას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, დეჰელმინთიზაციას ანტიჰელმინთური პრეპარატის გაცემით, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას და შერჩევითი კონტროლის განხორციელებას. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინულ მონიტორინგს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და “C” ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
მოსალოდნელი შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 01
პროგრამის დასახელება:	გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	90 000.00 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა. უფასო სასაღილოების კვების პროგრამით ისარგებლებს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო ოჯახის 90 ბენეფიციარი, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ უკვე რეგისტრირებული ბენეფიციარები, ხოლო ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში (გარდაცვალება, უარის თქმა პროგრამაზე, საირეიტინგო ქულის მომატება, რეგულარულად (14 დღე) არ გამოცხადება, რეგისტრაციის ადგილის შეცვლა (სხვა მუნიციპალიტეტში გადასვლა) და სხვა), ჩანაცვლება განხორციელდება სარეიტინგო ქულის, მრავალშვილიანობის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ყოველდღე, დღეში ერთხელ, დასვენების დღეების გარეშე.
მოსალოდნელი შედეგი	დღეში ერთხელ კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02
პროგრამის დასახელება:	მოსახლეობის მკურნალობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	714 900,00 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. საქართველოში მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სხვადასხვა სახისა და მოცულობის, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროგრამები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილება, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ რომელიც ძალაშია 2013 წლის 28 თებერვლიდან, მოიცავს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა სერვისი, რომელსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. აღნიშნული დადგენილების მოქმედების სფეროში ვერ ხვდება ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ღირებულების სრული ანაზღაურება, რაც დღეის მდგომარეობით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქარელის მუნიციპალიტეტში დამუშავდა მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მკურნალობის, ოპერაციის, ან გამოკვლევის (გარდა: კოსმეტიკური პროცედურებისა; ფაკიური ლინზის გადანერგვისა; რეფრაქციული ანომალიის კორექციისა ექსიმერული ლაზერით - LASIK მეთოდით; ბარიატრიული ოპერაციებისა - 150 000 ლარის ზემოთ; ექიმის კონორარისა.) ა) ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილის თანადაფინანსებას 40%-ით, მაგრამ არა უმეტეს 4000 ლარისა, წლის განმავლობაში ერთჯერადად. იმ კარდიოლოგიურ მომსახურებაზე, რომელიც ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების ფარგლებში, თანადაფინანსება მოხდება სახელმწიფოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის მიხედვით აუნაზღაურებელი ნაწილის 40%-ით. იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 120 000 ქულის ჩათვლით და, რომელთა მკურნალობის, ან ოპერაციის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილი არ აღემატება 300 ლარს, დაფინანსება განხორციელდება 100%-ით, ხოლო თუ თანხა აღემატება 300 ლარს, ემატება 300 ლარს ზემოთ დარჩენილი თანხის 40 %-ი, წლის განმავლობაში ერთჯერადად. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები). დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: ანგარიშგაქტურა, წინასწარი კალკულაცია (რომელიც უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის რეკვიზიტებს), ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებელის პირადობის მოწმობის ასლი და/ან სხვა დოკუმენტი - საჭიროების შემთხვევაში”
მოსალოდნელი შედეგი	მეტად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება. კმაყოფილი მოსახლეობა.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 03
პროგრამის დასახელება:	მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	115 600.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, მრავალშვილიან ოჯახების დახმარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მრავალშვილიან ოჯახებში, ახალშობილთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს იმ ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, რომელთაც შეეძინათ მესამე და ყოველი მომდევნო შვილი. პროგრამის მიხედვით, ოჯახს გაეწევა შემდეგი დახმარება: მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში 600 ლარი. მეოთხე შვილის დაბადების შემთხვევაში 800 ლარი. მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში 1000 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 1000 ლარზე 200-200 ლარის დამატებით. ტყუპების შემთხვევაში ინდივიდუალურად, რიგითობის გათვალისწინებით. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები). 2022 წლის დეკემბრის თვეში მრავალშვილიან ოჯახებში დაბადებულ ახალშობილთა დახმარება (ანაზღაურების გაცემა) შესაძლებელია 2023 წლის პირველ თებერვლამდე. დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, ბავშვის(ბავშვების) დაბადების მოწმობები, მშობლების/მშობლის (მეურვის/მზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი, განმცხადებლის (მშობელი, მეურვე და სხვა) საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული მრავალშვილიანი ოჯახები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 04
პროგრამის დასახელება:	ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	41 000.0 ლარი
	პროგრამის მიზანია: ცელიაკით, ფენილკეტონურიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება. ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული საკვებით კვება, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირებს უწევთ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცედურის ჩატარება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. აღნიშნული დაავადებები წარმოადგენენ ისეთი დაავადებების ნოზოლოგიას, რომელთაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული მკურნალობა. პროგრამა ითვალისწინებს: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ცელიაკით, აგრეთვე ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის საკვებით დახმარებას, წლის განმავლობაში, თითოეულზე არა უმეტეს 2000 ლარისა, რომელიც საჭიროა შესაბამისი



პროგრამის მიზანი და აღწერა	სახეობის საკვების შესაძენად, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირთათვის, ფინანსურ დახმარებას - წელიწადში ერთჯერადად 700 ლარის ოდენობით - გადაადგილებისათვის. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები). დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: ცელიაკიით ან/და ფენილკეტონურიით დაავადების შემთხვევაში: განცხადება, წინასწარი ინვოლსი, ფორმა 100, პაციენტის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობის (ჰემოდიალიზის) შემთხვევაში: განცხადება, ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული ბენეფიციარები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 05
პროგრამის დასახელება:	სტუდენტების სოციალური დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	30 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: მარჩენალდაკარგული, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის და სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების წლიურად ერთჯერადი დახმარება. დახმარებას მიიღებენ: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული სტუდენტები, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, პირველი ჯგუფის შშმ პირთა სტუდენტი შვილები, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტი შვილები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 50 000-მდე ქულის ჩათვლით) მოქალაქეთა სტუდენტი შვილები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში რეგისტრირებულ აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელში ბაკალავრიატი, რეზიდენტურა, ან მაგისტრატურა). პროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებზე წლიურად სწავლის გადასახადის ერთჯერადად დაფინანსებას 500 ლარის ოდენობით. სტუდენტების სოციალური დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, სწავლის დამადასტურებელი ცნობა აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, განმცხადებლის/სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლ(ებ)ი, სასწავლებლის საბანკო რეკვიზიტები, მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლ(ებ)ი, პირველი ჯგუფის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან საერეიტინგო ქულათა ამონაწერი, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტების დაფინანსებული განათლება



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 06
პროგრამის დასახელება:	შშმ პირების დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	18 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დახმარება, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და ინტეგრაცია, ქარელის მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრებში. პროგრამა ითვალისწინებს 25 წლამდე ასაკის შშმ პირების მიერ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ქარელის მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრებში. დახმარების გაწევა ხორციელდება თითოეულ შშმ პირზე წლის განმავლობაში ერთჯერადად 1800 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლებენ აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები). დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, შშმ პირის პირადობის მოწმობის ასლი, მეურვეობის, მზრუნველობის/შმობლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთი არსებობის შემთხვევაში), ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანხმობა - თანდართული ხარჯთაღრიცხვით. ორგანიზაციის რეკვიზიტები, შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული შშმ პირები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 07
პროგრამის დასახელება:	მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	28 000,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული (ტოტალური)უსინათლოების დახმარება. პროგრამის მონაწილეებს გაეწევათ წელიწადში ერთჯერადად ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება(მეურვის/მზრუნველის), პირადობის მოწმობის ასლი, მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დამადასტურებელი დოკუმენტი, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი,

	საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული მკვეთრად გამოხატული უსინათლო ბენეფიციარები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 08
პროგრამის დასახელება:	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	1 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამამულო ომის ვეტერანების დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს სამამულო ომის ვეტერანების დახმარებას 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულზე ვეტერანზე 1000 ლარის ოდენობით. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის მოწმობა, ან შესაბამისი ცნობა, საბანკო რეკვიზიტები., საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული სამამულო ომის ვეტერანები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 09
-------------------------------	----------



პროგრამის დასახელება:	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	4 200.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება. ლონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან (26 მაისი) დაკავშირებით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ რეგისტრირებულ (კოდი 945) თითოეულ ვეტერანზე 300 ლარის ოდენობით. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის მოწმობა და ინვალიდიობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, საბანკო რეკვიზიტები
მოსალოდნელი შედეგი	დახმარება გაწეული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანები.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 10
პროგრამის დასახელება:	100 წელს გადაცილებულ უზუცესთა დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	3 000,0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: 100 წელს გადაცილებულ უზუცესების დახმარება. წლის განმავლობაში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ უზუცესებზე 1000 ლარის გადაცემა თითოეულ უზუცესზე ერთჯერადად. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: უზუცესის პირადობის მოწმობის ასლი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში - სხვა დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული 100 წელს გადაცილებული უზუცესები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 11
პროგრამის დასახელება:	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის



	სამსახური
დაფინანსება	5 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანია: დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება. ლონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება ორივე მშობლის გარდაცვალებისას - 1000 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე. წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ბავშვის დაბადების მოწმობა, ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოდან ბავშვის რეგისტრაციის შესახებ, მშობლების გარდაცვალების მოწმობები, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი, მეურვის/მზრუნველის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა დოკუმენტები - საჭიროების შემთხვევაში.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 12
პროგრამის დასახელება:	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის



	სამსახური
დაფინანსება	10 500.0 ლარი
პროგრამის მიზანი:	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების გაწევაში დახმარება. ლონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება ერთჯერადად 350 ლარის ოდენობით, გარდაცვლილის ახლობელზე, ან სხვა პირზე, ვინც ორგანიზებას უწევს გარდაცვლილის დაკრძალვას. დახმარების მისაღებად, პირის გარდაცვალებიდან 10 დღის ვადაში, ახლობლის, ან სხვა პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ დამოწმებული არანაკლებ სამი მეზობლის ან ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილი აქტი, გარდაცვალების მოწმობა, სხვა დამატებითი ინფორმაცია-საჭიროების შემთხვევაში.
პროგრამის მიზანი და აღწერა	



მოსალოდნელი შედეგი	დაფინანსებული სარიტუალო მომსახურება
--------------------	---

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 13
პროგრამის დასახელება:	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	2 000.0 ლარი
